F225N436

სამშაბათი, 25 თებერვალი, 1941 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავს!



### შრომა, მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული

გზას უკაფავს
საქართველოს
ოცი წელი
დიდებული,
შრომა,
მეცნიერებასთან
მჭიდროდ
დაკავშირებული!

მოიფინა
ახალ სხივით
ჯურღმულები,
ხაროები —
და ამოსკდა
დიდი ცოდნის
ულეველი
წყაროები.

დანატრული
ათასობით,
მან მწყურვალე
დაიწაფა, —
მხარე წიგნთან
კავშირში
გამახვილდა,
დაიძაფა.

სიამაყე
აღუვსებს გულს
სწავლა-ცოდნის
კორიფეებს —
სხვებთან ერთად
რომ მჭედელი
გასაოცარს
აღწევს დღეებს.

ინდუსტრია,
კოლექტივი, —
ეს საბრძოლო
სიტყვა სწავლის
სძლევს ყოველგვარ
დაბრკოლებებს,
და ეკუთვნის
იგი სტალინს!

გზას უკაფავს
საქართველოს
ოცი წელი
დიდებული,
შრომა,
მეცნიერებასთან
მჭიდროდ
დაკავშირებული!

1941 წ.



### დიდი დღესასწაული

ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნავენ საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის ისტორიულ თარიღს. ოცი წლის წინათ საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ სამუდამოდ დაამხეს ბურჟუაზიულ - მემამულური დიქტატურა მენშევიკებისა, რომელთაც:

„სამ წელიწადს საქართველო
სამარცხვინოდ სჭრეს და ჰყიდეს,
კვნესა იდგა ყოველ ქოხში,
ცრემლი რწყავდა კიდით-კიდეს,
კავკასიის მოძმე ხალხი
მათ ერთმანეთს გადაჰკიდეს,
სისხლი სურდათ და სისხლითვე
მიაღწიეს სურვილს კიდეც“.

ოცი წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველო გადააქცია აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის, მტკიცე ბოლშევიკის, ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, საქართველო აგრარულ, ჩამორჩენილ, წვრილ გლეხურ მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა სსრ კავშირის ერთერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

ქართველი ხალხი შედგა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობისა და აყვავების გზაზე. საქართველოს მოეფინა ფაბრიკები და ქარხნები, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. 20 წლის მანძილზე გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ საბჭოთა ადამიანები, ახალი საბჭოთა კადრები, რომელნიც, სტალინის ცეცხლით ანთებულნი, ეუფლებიან და იპყრობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს.

ლენინურ-სტალინურ ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა სამუდამოდ ურღვევი გახდა. კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა ურღვევი მეგობრობის ძლიერი ძაფებით დააკავშირა ისინი ერთმანეთთან, შეაყვარა მათ თავიანთი ქვეყანა, მშრომელი კაცობრიობის ეს ერთადერთი სამშობლო, და გზა გაუკაფა ნათელ მომავლისაკენ.

საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის მრავალათასიანი მასები შეუსვენებლივ იბრძვიან მიმდინარე წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური კულტურისა და კომუნისტური აღზრდის ახალი წარმატებებისათვის, სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ქართველი ხალხი, მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად, ძლევამოსილად მიიმართება წინ ლენინ-სტალინის მსოფლიო-ისტორიული საქმის გამარჯვებისათვის.

ამ ძლევამოსილობის სიმბოლო დიდი სტალინია! ამიტომაც ქართველი ხალხი, სსრ კავშირის ხალხებთან ერთად, უსაზღვრო სიხარულისა და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული, უმღერის ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების დამმკვიდრებელს, ხალხთა ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს.

„დღეგრძელი იყოს, იხაროს, —
ხალხი ვინც გაახალისა,
თექვსმეტი ქვეყნის გულისთქმა
და ელვა მათი ხმალისა,
ბნელს ანათებდეს შორეულს
სხივი ბელადის თვალისა —
ის ერთადერთი იმედი
მსოფლიოს მომავალისა“.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადსა და უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს სოციალიზმის შემოქმედს, ჩვენს გამარჯვებათა სულის ჩამდგმელს და ორგანიზატორს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს, დიდ სტალინს!

„ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა. მხოლოდ მაშინ, თუ ძირიანად გარდავქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, შევძლებთ ჩვენ მივაღწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოჰყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების, შექმნა“.

ვ. ლენინი

ბოლშევიკური პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით, ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა განთავისუფლებულ ხალხთან ერთად თავისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

ლ. პ. ბერია

# ოცი წლის მანძილზე

[illegible] ...ში ჩადგა.

1921 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტში მხოლოდ სამი ფაკულტეტი არსებობდა: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც შეიცავდა ისტორიის, ფილოლოგიის და ნაწილობრივ ეკონომიკის დარგებს, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, რომელთანაც აგრონომიული დარგი არსებობდა, და საექიმო ფაკულტეტი.

ამავე წლის შემოდგომიდან სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი გაერთიანდა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსთან, პედაგოგიური ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრონომიული დარგი გამოიყო ცალკე ფაკულტეტად, ხოლო 1922 წელს გაიხსნა კიდევ ორი ფაკულტეტი, — პოლიტექნიკური და სოციალურ-ეკონომიური.

უნივერსიტეტმა იმთავითვე დიდძალი ახალგაზრდობა მოიზიდა. 1922 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტში ითვლებოდა სამი ათასზე მეტი სტუდენტი. სხვათა შორის, როდესაც ჩვენ ვადარებთ სტუდენტთა ახლანდელ რაოდენობას 1922 წლისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საექიმო, პოლიტექნიკური და აგრონომიული ფაკულტეტები იმხანად ცალკე ინსტიტუტებად გამოიყვნენ, ასე რომ შესადარებლად უნდა ავიღოთ მაშინდელი პედაგოგიური და სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტები. ამ ფაკულტეტებზე ირიცხებოდა 1.950 სტუდენტი, ხოლო ამჟამად უნივერსიტეტში 4.749 სტუდენტია და, გარდა ამისა, 1.800-მდე ექსტერნი და 3.062 დაუსწრებელი, სულ 9.581.

უნივერსიტეტმა მისცა სახალხო მეურნეობას 10.000-მდე სპეციალისტი, რომელთა შორის მრავალმა თავისი მომზადებით და კვალიფიციური შრომით საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

უნივერსიტეტის ზრდის სწრაფი ტემპები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საექიმო, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ფაკულტეტების ცალკე ინსტიტუტებად გამოყოფის შემდეგ არამც თუ არ შემცირდა საუნივერსიტეტო მუშაობა, არამედ მან ისეთი ფართო გასაქანი მიიღო, რომ ცალკეული დარგები, რომელნიც სხვადასხვა ფაკულტეტის შიგნით არსებობდნენ, დამოუკიდებელ ფაკულტეტებად გადაიქცნენ. ამჟამად უნივერსიტეტში უკვე ცხრა ფაკულტეტია: ფიზიკა-მათემატიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ეკონომიკისა და იურიდიული. სტრუქტურის მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის ყველაზე სრუ-



ზემოდან (მარცხნიდან მარჯვნივ): პროფ. ი. აბულაძე, აკად. დ. უზნაძე, აკად. კ. კეკელიძე, პროფ. ვ. ნიკიტინი, აკად. არნ. ჩიქობავა, პროფ. მ. ზანდუკელი, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ლ. მელიქსეთბეგი, პროფ. ბ. ყავრიშვილი, აკად. გ. ახვლედიანი, პროფ. ი. მოსეშვილი.

[illegible] ...თარდა მასში პასუხისმგებლობის გრძნობა. სტუდენტთა დიდი ნაწილი მრავალფეროვან შრომას ეწევა უნივერსიტეტში: სამეცნიერო წრეებში მუშაობა, კათედრებისა და ფაკულტეტების საქმიანობაში მონაწილეობა, საზოგადოებრივი მუშაობა, სპორტი, თვითმოქმედი წრეები, თავდაცვითი მუშაობა, — აი სტუდენტთა გაწვრთნისა და საზოგადოებრივი მომზადების ასპარეზი, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აკადემიურ მუშაობას.

უნივერსიტეტს 30 სტალინური სტიპენდიატი ჰყავს. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, რომელნიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ეწყობა, არაერთი თვალსაჩინო მოხსენება გაკეთდა; ზოგი მათგანი გამოქვეყნების ღირსიც გახდა.

რაც შეეხება აკადემიურ წარმატებას, უნდა ითქვას, რომ ესეც აღმავლობის გზაზე დგას. მიუხედავად დიდად გაზრდილი მოთხოვნილებისა, მიმდინარე წლის საზამთრო სესიებზე დაწერილ ნიშანთა შორის „ფრიადი“ და „კარგი“ 60 პროცენტს შეადგენს.

ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმეც საკმაოდ დიდ სიმაღლეზე დგას. უნდა აღინიშნოს, რომ ასპირანტურა დღესდღეობით წარმოადგენს მრავალრიცხოვან კოლექტივს, იგი 250-მდე ასპირანტს აერთიანებს, რომელნიც 80-მდე სხვადასხვა სპეციალურ დარგში ემზადებიან სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, 1922 წელს უნივერსიტეტს ჰყავდა მხოლოდ 15 ასპირანტი, ისიც მაშინ, როდესაც საექიმო, პოლიტექნიკური და აგრონომიული ფაკულტეტები უნივერსიტეტთან არსებობდნენ.

უნივერსიტეტის საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას და გამომცემლობას. 1921 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შეიცავდა 120.000-მდე ტომს, ამჟამად კი იგი გახდა ერთერთ უმდიდრეს საუნივერსიტეტო წიგნთსაცავად, რომელშიაც თავმოყრილია ნახევარ მილიონზე მეტი წიგნი და ჟურნალი. გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს სტუდენტობასა და მეცნიერ-მუშაკებს ლიტერატურით, იგი თვითონ ეწევა მეტად მნიშვნელოვან მეცნიერულ მუშაობას ბიბლიოგრაფიის დარგში. ბიბლიოთეკას კავშირი აქვს მონათესავე დაწესებულებებთან როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ; მათ შორის წარმოებს ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილების გაზიარება. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის ცალკე შენობის აგების შესახებ მთავრობის დადგენილების რეალიზაცია სრულიად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან წიგნთსაცავის ახლანდელ პირობებში შეუძლებელია მისი შემდგომი განვითარება და არსებული ფონდის დაცვა.

მეტად საყურადღებო ადგილი უჭირავს უნივერსიტეტის სისტემაში გამომცემლობას. უკანასკნელ წლებში გამომცემლობის ნივთიერი და პოლიგრაფიული ბაზა საგრძნობლად გაფართოვდა. გამომცემლობის შესაძლებლობა იმდენად გაიზარდა, რომ მას ამჟამად შეუძლია ყოველწლიურად 1.000-მდე თაბახი მრავალტირაჟიანი პროდუქცია გამოუშვას. მაგალითისათვის, სხვათა შორის, მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: 1923 წლიდან 1927 წლამდე უნივერსიტეტს გამოუცია სულ 800-მდე თაბახი სამეცნიერო ხასიათის შრომები, სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები. თუ იმ დროს სამეცნიერო კრებული წლიურად გამოდიოდა



პროფ. პ. მელიქიშვილი, აკად. ი. ჯავახიშვილი.

20—25 თაბახის რაოდენობით, დღესდღეობით ყოველთვიურად 10—15 თაბახიანი კრებული გამოდის.

უნივერსიტეტი გამდიდრდა ლაბორატორიებით, კაბინეტებით, მუზეუმებით. თუ 1918 წელს მთელი უნივერსიტეტი მოთავსებული იყო მთავარი შენობის მესამე სართულზე, ამჟამად ჩვენ გვაქვს ხუთი სასწავლო კორპუსი, მათ შორის ერთი ახალი, ფიზიკა-ქიმიისა. უნივერსიტეტის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ფიზიოლოგიის ლაბორატორია, გეოლოგია-პალეონთოლოგიის მუზეუმი, პეტროგრაფიული მუზეუმი, გეომორფოლოგიისა და ჰიდროლოგია - კლიმატოლოგიის კაბინეტები, ქიმიის ლაბორატორიები, ბოტანიკისა და ზოოლოგიის კაბინეტები და სხვ.

უნივერსიტეტის ზრდის გასაოცარი სისწრაფე მეტად მკაფიოდ წარმოგვიდგება ბიუჯეტის მოძრაობაში. 1921-22 სასწ. წელს უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვა 177 ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, ხოლო 1927-28 სასწ. წელში მან ერთ მილიონს მიაღწია. ამჟამად კი უნივერსიტეტის ბიუჯეტი შეადგენს 23 მილიონ მანეთს.

უნივერსიტეტის ნამდვილ სიამაყეს შეადგენს მისი სამეცნიერო კადრები და ის სამეცნიერო სკოლები და მიმართულებანი, რომელნიც ამ ოცი წლის მანძილზე წარმოიშვნენ, განვითარდნენ და განმტკიცდნენ, როგორც მეცნიერული კვლევის ცენტრები. უნივერსიტეტში ამჟამად არსებობს სამი სამეცნიერო ინსტიტუტი, სადაც დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის კვლევა წარმოებს: ფიზიოლოგიის, გეოლოგიისა და ლიტერატურის ინსტიტუტები.

1921-22 წელს, როდესაც კიდევ უნივერსიტეტში საექიმო, აგრონომიული და პოლიტექნიკური ფაკულტეტები არსებობდნენ, პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა განისაზღვრებოდა სულ 121 კაცით, მათ შორის პროფესორი იყო 34, დოცენტი — 13, მასწავლებელი — 18 და ასისტენტი — 56, ამჟამად კი, გარდა სასწავლო-დამხმარე პერსონალისა, უნივერსიტეტის 66 კათედრა აერთიანებს 448 მეცნიერ მუშაკს, მათ შორის პროფესორია 60, დოცენტი — 146, უფროსი მასწავლებელი — 118 და ასისტენტი—124; აქედან 13 აკადემიკოსია, 44 დოქტორი, ხოლო 112 მეცნ. კანდიდატი.

უნივერსიტეტში მუშაობენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერნი, რომელთაც მნიშვნელოვანი გამოკვლევებით დიდი სახელი მოიხვეჭეს და რომელთა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივმა დამსახურებამ ისინი ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანთა რიგებში დააყენა.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი გამოჩენილი მათემატიკოსი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აკად. ნიკო მუსხელიშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხის წინაშე ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გაწვრთნისა და მომზადების საქმეში.

საბჭოთა კავშირის სახელოვან მეცნიერთა შორის საპატიო ადგილი უკავია საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ორდენოსან აკად. ივანე ბერიტაშვილს, ფიზიოლოგიის დარგში განთქმულ მკვლევარს და საქართველოში ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებელს.

ფართო განვითარება მიიღო ჩვენში გეოლოგია-პალეონტოლოგიამ და მის მონათესავე დარგებმა. აქ დიდი დამსახურება მიუძღვისთ საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ორდენოსან აკად. ალექსანდრე ჯანელიძეს და მინერალოგია-პეტროგრაფიის ცნობილ სპეციალისტს ორდენოსან აკად. ალექსანდრე თვალჭრელიძეს.

საბჭოთა საზოგადოება კარგად იცნობს საქართველოს ფლორის თვალსაჩინო მკვლევარს საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აკად. ნიკო კეცხოველს.

საყოველთაოდ ცნობილი არიან ქართული ენისა და ლიტერატურის განთქმული სპეციალისტები აკად. აკაკი შანიძე და აკად. კორნელი კეკელიძე; ენათმეცნიერების ცნობილი მკვლევარი აკად. გიორგი ახვლედიანი; ისტორიული შრომების ავტორი აკად. გიორგი ხაჟაპურიძე; გეოგრაფიული დარგების გამოჩენილი მკვლევარნი პროფესორები ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიორგი გეხტმანი და ბესარიონ ყავრიშვილი; ქართული ლიტერატურის მკვლევარი პროფ. მ. ზანდუკელი; სტატისტიკური მეცნიერების ცნობილი სპეციალისტი პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი; ფსიქოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი აკად. დიმიტრი უზნაძე; საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობის ცნობილი სპეციალისტი აკად. გიორგი ჩუბინაშვილი; არმენოლოგიის კათედრის დამაარსებელი, მრავალრიცხოვანი შრომების ავტორი პროფ. ლეონ მელიქსეთბეგი; არქეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფ. გიორგი ნიორაძე; კლასიკური ფილოლოგიის ავტორიტეტული წარმომადგენელი პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი; საფინანსო მეცნიერების ცნობილი სპეციალისტი პროფ. ნიკო ქოიავა და სხვ.

უნივერსიტეტი სამართლიანად ამაყობს იმ მეცნიერთა კადრით, რომელნიც მის კედლებში აღიზარდნენ, მეცნიერული კვლევის პირველი ჩვევები აქ მიიღეს და შემდეგ საპატიო ადგილი მოიპოვეს სამეცნიერო ასპარეზზე. ასეთები არიან: საქართველოს ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი აკად. სიმონ ჯანაშია; ჩვენი ცნობილი მათემატიკოსები პროფესორები ლევან გოკიელი, ვიქტორ კუპრაძე, ილია ვეკუა და შალვა მიქელაძე; გეოფიზიკის კათედრის დამაარსებელი პროფ. მიხეილ ნოდია; საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფ. შალვა ამირანაშვილი; კავკასიური ენების ცნობილი მკვლევარი აკად. არნოლდ ჩიქობავა; ქართული ენის სპეციალისტი პროფ. ვარლამ თოფურია; ქართული ლიტერატურის მკვლევარი პროფ. ალექსანდრე ბარამიძე; საქართველოს ფიზიოლოგიური სკოლის წარმომადგენელნი პროფესორები დიმიტრი გედევანიშვილი და ალექსანდრე ბრეგაძე; ბიოქიმიის სპეციალისტი პროფ. პეტრე ქომეთიანი; ფილოსოფოსები პროფესორები მოსე გოგიბერიძე და კოტე ბაქრაძე; პროფ. ნიკო ბერძენიშვილი, პროფ. პაატა გუგუშვილი, დოცენტები დავით ყიფშიძე, ილია ქვარცხავა, მათე მირიანაშვილი, ვაჰან მამასახლისოვი, შალვა შარაშენიძე, ვიქტორ კოკოჩაშვილი, გიორგი ძოწენიძე, გიორგი ზარიძე, არჩილ ცოკიელი, ამბროსი რუხაძე, დავით დოლიძე და მრავალი სხვ.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ განვითარდა და განმტკიცდა უნივერსიტეტი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით და მზრუნველობით. მას კიდევ დიდი მომავალი აქვს. ჩვენი ახალგაზრდობა თავისი მძლავრი და უშრეტი შემოქმედებით აიყვანს უნივერსიტეტს ისეთს სიმაღლეზე, რომელიც ღირსი იქნება ჩვენი დიდი სამშობლოსი და საბჭოთა გმირული ხალხისა.

წარუშლელი კვალი დასტოვეს უნივერსიტეტის ცხოვრებაში უნივერსიტეტის დამაარსებლებმა ივანე ჯავახიშვილმა, პეტრე მელიქიშვილმა, იოსებ ყიფშიძემ, ანდრია რაზმაძემ. მათემატიკოსთა მომავალი თაობანი პატივისცემით მოიხსენიებენ გეომეტრიის დარგში პირველ მკვლევარს ჩვენში გიორგი ნიკოლაძეს. უნივერსიტეტმა მძიმედ განიცადა ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და ალექსანდრე ლაისტერის გარდაცვალება.

განსაკუთრებით მძიმე იყო ქართველი ხალხისათვის ივანე ჯავახიშვილის დაკარგვა. ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენში მისი კეთილშობილი, მუდამ მომღიმარი სახე. დაუცხრომელი შრომით გატაცებული, უნივერსიტეტისადმი სათუთი და უანგარო სიყვარულით ალსავსე, მეცნიერებისა და ხალხისათვის თავდადებული — ის იყო ჩვენი ახალგაზრდობისათვის ცოცხალი მაგალითი ნამდვილი მოღვაწის, მეცნიერისა და მოქალაქის.

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავზე ქართველი ხალხი უკვე ხედავს არა მარტო აყვავებულსა და დავაჟკაცებულს უნივერსიტეტს, არამედ მის გვერდით, მის ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენებულს ახალგაზრდა, მაგრამ კუნთებმაგარ სამეცნიერო აკადემიას, რომლის დაარსებას საბჭოთა ხალხი აღასებს, როგორც პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობის ნამდვილ ტრიუმფს.

პროფ. არჩილ ხარაძე

## რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

[illegible] ...მიზანი და ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან მეცნიერულად შეისწავლოს ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ნამდვილი პირობები ასეთი საქმიანობისათვის უკვე შექმნილია პარტიისა და ხელისუფლების მიერ. ახლა ჯერი მეცნიერ მუშაკებზეა, რომელთაც სერიოზული და ბეჯითი მუშაობა მართებთ.

ინსტიტუტში სამი განყოფილებაა: ქართული ლიტერატურის, ქართული ფოლკლორის და ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის.

რა მასალები უნდა მოექცეს ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში?

1. უაღრესად მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ბელეტრისტიკა, რომელიც პირდაპირ ამოუწურავ ოკეანეს წარმოადგენს.

2. საშუალო საუკუნეთა მხატვრული ლიტერატურიდან პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ თხზულებებს, რომელნიც ჯერ ერთხელაც არ გამოცემულან, ანდა გამოცემული არიან არადამაკმაყოფილებლად.

3. უმდიდრესი ორიგინალური და ნათარგმნი ფილოსოფიური მწერლობა ამ სიტყვის ფართე, საშუალო საუკუნეთა, გაგებით.

მიმდინარე წელს ინსტიტუტი დაამუშავებს 52 თემას და დაამზადებს გამოსაცემად ხუთ შრომას

ა) „სპეკალი“, ეს არის ორიგინალური ფილოსოფიური შრომა, მეთვრამეტე საუკუნეში დაწერილი, რომელშიაც შეჯამებულია ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების მიღწევები;

ბ) „გარდამავალი ხანის“ (XVIII — XIX საუკ.) ქართული ლირიკოსები, რომელნიც ჯერ არც გამოცემული არიან და არც შესწავლილნი;

გ) „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი სტროფები;

დ) პალესტინაში ლიტერატურული ცენტრის შემქმნელის საბას „ცხოვრება“, ტექსტი და გამოკვლევა;

ე) „ქართული ზღაპრები“, ტომი III, ეს გაგრძელებაა იმ სერიისა, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა წამოწყებული.

გარდა ამისა, ინსტიტუტი დაამზადებს კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება მისი წევრების მიმდინარე კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგები ცალკეული თემების დამუშავების სახით.

აკად. კ. კეკელიძე



ზემოდან (მარცხნიდან მარჯვნივ): აკად. ი. ბერიტაშვილი, აკად. ალ. თვალჭრელიძე, პროფ. ალ. ჯავახიშვილი, აკად. გ. ჩუბინაშვილი, აკად. ალ. ჯანელიძე, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, აკად. ა. შანიძე, აკად. ნ. კეცხოველი, პროფ. გ. ნათაძე, პროფ. გ. გეხტმანი.

# ფიზიკური კულტურა უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის ორგანიზაცია შესამჩნევი მაჩვენებლებით ხვდება საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავს.

ფიზიკური მომზადების სასწავლო პროცესს თვალსაჩინო ადგილი უკავია უნივერსიტეტის სწავლების და აღზრდის მთლიან სისტემაში. თბილისის სახ. უნივერსიტეტზე დაკისრებული 1940 წლის სახელმწიფო დავალება ნიშნოსნების — „მზად ვარ შრომისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის“ — მომზადების საქმეში ვადაზე ადრე წარმატებით შესრულდა. დღეისათვის უნივერსიტეტის ფიზ. კულტ. ორგანიზაციის რიგებში არის 1.000 პირველი საფეხურის ნიშნოსანი და მეორე საფეხურის 126 ნიშნოსანი. საგრძნობლად გამაგრდა სწავლების დისციპლინა; გამოვლინებულია და ორგანიზებულად დარაზმულია ფიზკულტურელთა აქტივი ყველა სპორტსახეებში.

1941 წლის გეგმით გათვალისწინებულია მომზადდეს 600 თანრიგოსანი სხვადასხვა სპორტის სახეებში. არსებულ სპორტ-სექციების ორგანიზებული მუშაობა, მძლავრი აქტივის შეუჩერებელი ზრდა, სწავლების დისციპლინა, — მთავარი საწინდარია ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტის საქმეში.

1940 წლის იანვარში უნივერსიტეტის 8 სტუდენტ-ალპინისტმა მოაწყო სამთო-სათხილამურო სწრაფი გადარბენა მარშრუტით: „კიროვაკანი — დილიჟანი — სიმიონოვის უღელტეხილი — სევანის ტბა — ერევანი“. ამავე წელს, კიევის უნივერსიტეტთან დადებულ სოცშეჯიბრის ხელშეკრულების მიხედვით, „სსრ კავშირის ალპინისტის“ პირველ საფეხურის ნიშნოსნების მოსამზადებლად მოეწყო უნივერსიტეტის 3 ალპინიადა მწვერვალ ქაზარჯინაზე 50 კაცის მონაწილეობით.

უნივერსიტეტის სტუდენტობა დიდი ხალისით ეუფლება სამხედრო გამოყენებითი ხასიათის სპორტის სახეების ტექნიკას; ჩატარდა მთელი რიგი ინდივიდუალურ-გუნდური შეჯიბრებები ფაკულტეტებს შორის სამხედრო გამოყენებითი სპორტის სახეებში.

საზამთრო არდადეგების პერიოდში ფიზკულტურული კათედრის მასწავლებელთა შემადგენლობა მთლიანად გადამზადდა ათდღიან ხელჩართულ ბრძოლის სემინარზე, მათ მიიღეს ხელჩართულ ბრძოლის ინსტრუქტორის სახელწოდება.

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ფიზკულტურის კოლექტივმა თავისი გეგმიანი ოპერატიული მუშაობით, მეტი ენთუზიაზმით, მტკიცე დისციპლინის საფუძველზე ღირსეულად განახორციელოს მასზე დაკისრებული პრაქტიკული და სამხედრო გამოყენებითი მნიშვნელობის ამოცანები, წარმატებით შეასრულოს სასწავლო მუშაობის გეგმები და სასწავლო წელი დაამთავროს მთელი რიგი ახალი მიღწევებით.

ვ. ვერულაშვილი

# უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავზე

ჩაუქრობელი სტალინური მზით განათებულ საბჭოთა საქართველოს 20 წელი შეუსრულდა. საქართველოს მშრომელნი — მუშები, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია, უდიდეს სიხარულს განიცდიან და შეხარიან დაჯილდოებულ ორდენოსან საქართველოს — დიდი საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე მარგალიტს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში იწყება ნაციონალური კულტურის აყვავება და კულტურის მთავარი ცენტრის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზრდა და განმტკიცება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც საზიზღარი ქართველი მენშევიკების დროს სულსა ღაფავდა და ძლივძლივობით არსებობდა, დღეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად, ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საუკეთესო სტალინელის ამხ. ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობის შედეგად, გადაიქცა ერთერთ თვალსაჩინო და მძლავრ უმაღლეს სასწავლებლად არა მარტო საქართველოში, არამედ კავშირის მასშტაბითაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსეულად და დიდის სიამაყით ატარებს კომუნიზმის უდიდესი თეორეტიკოსის, მეცნიერების კორიფეის, დიდი სტალინის სახელს. უნივერსიტეტი თავისი დიდი კოლექტივის შემოქმედებითი მუშაობით წლითი-წლობით აუმჯობესებს როგორც მაღალ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების, ისე სამეცნიერო-საკვლევო საქმეს. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს ათობით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს, ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე ინტელიგენტებს, რომლებიც ხელმძღვანელ ადგილებს იკავებენ წარმოების მეთაურის, სახელმწიფო აპარატის, განათლების, კოოპერაციის და სხვა პასუხსაგებ ადგილებზე.

ყოველწლიურად უმჯობესდება კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმე, საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის უნივერსიტეტის მიერ მომზადებულია 8.956 სხვადასხვა დარგის სპეციალისტი.

ჩვენთან მუშაობენ ისეთი მოწინავე მეცნიერი მუშაკები, რომელთა სახელებიც ფართოდაა ცნობილი. ასეთებია: აკადემიკოსები ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, გიორგი ხაჭაპურიძე, დიმიტრი უზნაძე, არნოლდ ჩიქობავა, პროფ. ვ. კუპრაძე და სხვ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში მტკიცე და მძლავრი პარტიული ორგანიზაცია არსებობს. იგი თავის რიგებში ითვლის 550-ზე მეტ კომუნისტს.

უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებისა და დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის ბრძნული მითითებების ურყევად გატარების საფუძველზე, გაწმინდა რა უნივერსიტეტი ტროცკისტ-ბუხარინელებისა, დივერსანტებისა, ჯაშუშებისა და ყველა ჯურის ხალხის მტრებისაგან, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სოციალისტური კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისა და მათი ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

უნივერსიტეტში 10.000-ზე მეტი მეცნიერ მუშაკი, სტუდენტი და მუშა-მოსამსახურე ირიცხება. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში 4.400-ზე მეტი კომკავშირელია. პარტიული ორგანიზაცია მჭიდროთაა დაკავშირებული ამ მრავალრიცხოვან არმიასთან, სისტემატურად ახორციელებს მასზე პარტიულ ხელმძღვანელობას და აქედან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში იღებს მოწინავეთა შორის ყველაზე უფრო მოწინავე ადამიანებს.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა მოწინავე მეცნიერ მუშაკებისა და აკადემიურად წარჩინებულ სტუდენტობის ხარჯზე, რომლებმაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაშიაც თავი ისახელეს.

1940 წლის განმავლობაში პარტიაში მიღებულია 146 კაცი, აქედან საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად 64, ხოლო პ/წევრად 82, ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცედ და თანმიმდევრულად გატარებით პარტიაში მიღებულია ა. ხარაძე, ა. ჯავახიშვილი, ა. ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე, გ. ნიორაძე, პ. გუგუშვილი, ნ. ციციშვილი, ს. წერეთელი, შ. შარაშენიძე, დ. მირიანაშვილი, მ. ჩიქოვანი. წარჩინებული სტუდენტები — სტალინის სახელობის სტიპენდიატები: ა. მიქაუტაძე, ხ. მახარაძე. შ. ულრელიძე, და სხვ.

პარტიაში ახლად მიღებული მოწინავე მეცნიერების წარმომადგენლები და ფრიადოსანი სტუდენტობა აქტიურად და თავდადებით მუშაობენ უნივერსიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში პრაქტიკულად მონაწილეობენ, საფუძვლიანად ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, და პარტიული ორგანიზაციის ნდობას ღირსეულად ამართლებენ.

უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა", მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებისა და მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხების შესწავლისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის და თეორიის დამოუკიდებლივ შემსწავლელთა დასახმარებლად კვალიფიციური ლექტორების მიერ სისტემატურად ეწყობა ლექციები, თეორიული კონფერენციები, კონსულტაციები და საუბრები.

უნივერსიტეტში მარტო 1940 წლიდან დღემდე ჩატარებულია: 93 თეორიული ლექცია, რომელსაც დაესწრო 18.450 კაცი, 28 თეორიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 3.071 კაცი და 1.020 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია. ლექციები, თეორიული კონფერენციები, კონსულტაციები და საუბრები ძირითადად მაღალი იდეური დონით ტარდება.

უნივერსიტეტის მოწინავე მეცნიერ მუშაკები მოწინავე მეცნიერების მონაპოვართა მასებში გადატანისა და დანერგვისათვის შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ უნივერსიტეტის გარეთაც. ისინი დაკავშირებული არიან ჩვენს სოციალისტურ წარმოებებთან: ფაბრიკა-ქარხნებთან, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებთან, საბჭოთა დაწესებულებებთან, სკოლებთან და ჩვენი უძლეველი წითელი არმიის ნაწილებთან, სადაც ისინი ატარებენ მაღალ კვალიფიციურ ლექცია-მოხსენებებს და ეწევიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიის პროპაგანდას. 1940 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის გარეთ ჩატარებულია 572 თეორიული ლექცია-მოხსენება.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ აგიტაციას, როგორც მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრ იარაღს. უნივერსიტეტში გამოყოფილია 328 აგიტატორი. აქედან: აკადემიურ ჯგუფებში და კათედრებზე მუშაობს 199 აგიტატორი, ხოლო ყოფილ საარჩევნო უბნების მოსახლეობაში 129 აგიტატორი. აგიტატორთა ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების მიზნით ჩამოყალიბებულია 16 აგიტკოლექტივი, რომელთა მეცადინეობა ტარდება პარტკომის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. აგიტკოლექტივები უზრუნველყოფილია შემოწმებული და მომზადებული ხელმძღვანელებით. გამოყოფილი აგიტატორები ცუდად როდი მუშაობენ, ისინი სისტემატურად ესწრებიან აგიტკოლექტივების მეცადინეობას, ამდიდრებენ თავიანთ იდეურ მომზადების დონეს და ბოლშევიკურ აგიტაციას მაღალი ხარისხით ატარებენ.

უნივერსიტეტის პარტკომი და საფაკულტეტო პარტორგანიზაციები სისტემატურად იხილავენ სასწავლო აკადემიურ და მასთან დაკავშირებულ საკითხებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. მიმდინარე წლის საზამთრო-საგამოცდო სესიების ორგანიზებულად ჩატარების შედეგებმა აშკარად დაგვანახვა, რომ ცალკე ფაკულტეტების დეკანატებმა, კათედრებმა და სტუდენტთა ორგანიზაციებმა ყურადღების ცენტრში დააყენეს სწავლების ხარისხისათვის ბრძოლის ამოცანა და მიიღეს ყოველგვარი ღონისძიებები სტუდენტთა შეფასებაში ლიბერალობის წინააღმდეგ. სესიების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ავანგარდულ როლს აკადემიურ სწავლებაში კომუნისტები ასრულებენ. ჩვენ მრავლად გვყავს ისეთი კომუნისტები, რომლებიც აკადემიურად ყოველთვის წარჩინებული არიან და აგრეთვე ეწევიან აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას. მაგ., ეკონომიური ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნად მუშაობს სტალინური სტიპენდიატი ამხ. შ. მელაძე, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნად — სტალინური სტიპენდიატი ამხ. ს. შამუგია, ისტორიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნად სტალინური სტიპენდიატი ამხ. დ. მანწკავა და სხვ.

უნივერსიტეტში კადრების მომზადებასთან ერთად დიდი მუშაობა წარმოებს სამეცნიერო-საგამოკვლეო ხაზით. უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცალკეული კათედრები მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე. 1939/40 სასწავლო წელს მაღალ ხარისხოვნად დამუშავებულია 292 სამეცნიერო ხასიათის თემა. ამჟამად სამეცნიერო კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს 342 სამეცნიერო თემაზე. 1939/40 სასწ. წელს გამოცემულია 22 სახელწოდების სახელმძღვანელო. გამოცემულია ისეთი წიგნებიც, რომლებიც სტაბილურ სახელმძღვანელოებად არის აღიარებული კავშირის მასშტაბით. მაგალითად, აკად. ნ. მუსხელიშვილის — „ანალიზური გეომეტრიის კურსი", აკად. ბერიტაშვილის — „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია" და სხვ.

სახელმწიფო უნივერსიტეტი მესამე წელია რაც ჩაება სოცშეჯიბრებაში კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტთან. გასული წლების შეჯიბრების შედეგებმა აშკარად დაადასტურა, რომ ორივე უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აკადემიური, სამეცნიერო - კვლევითი, პოლიტიკურ - აღმზრდელობითი, სამხედრო-თავდაცვითი, ფიზკულტურული და სხვ. დარგებში. ეს წარმატებები უფრო ეფექტიური და ნათელი ხდება საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავზე. მაგრამ უნივერსიტეტის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი არსებითი ნაკლოვანება, ჯერ კიდევ დიდი მუშაობის წარმოება საჭირო რომ არსებული ნაკლოვანებანი უახლოეს ხანში ლიკვიდირებულ იქნეს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია, ზემდგომი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გააუმჯობესებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, მტკიცედ დარაზმავს უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს უნივერსიტეტის წინაშე მდგარ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის და მიიღებს ყველა ღონისძიებას, რათა ღირსეულად შეასრულოს დიდი სტალინური ეპოქის დავალება — დავეუფლოთ მოწინავე მეცნიერებას, წინ წავსწიოთ იგი და ჩვენს უძლეველ სოციალისტურ სამშობლოს მივაწოდოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული მაღალკვალიფიციური კადრები.

ე. ფოფხაძე

# გეოლოგიის ინსტიტუტი

გეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარება საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან. მისი გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური კათედრა, რომელსაც 1924 წლიდან პროფ. ა. ჯანელიძე ხელმძღვანელობს, იყო პირველი უჯრედი, რომელმაც საქართველოში ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობა დაიწყო.

1925 წელს დაარსებულ იქნა გეოლოგიის ინსტიტუტი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით და დახმარებით ინსტიტუტი სწრაფად გაფართოვდა, მოღონიერდა და იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ოცი წლისთავს მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება.

ამჟამად ინსტიტუტს, რომელშიც წარმოებს აგრეთვე გეოლოგიური კათედრის თანამშრომლების მეცნიერული მუშაობა, აქვს კარგად გამართული გეოლოგიური ლაბორატორია, მდიდარი სპეციალური ბიბლიოთეკა, მონოგრაფიული მუზეუმი, საშლიფო სახელოსნო და ფოტოკაბინეტი.

ინსტიტუტის მუზეუმში გამოფენილია მონოგრაფიული კოლექციები, რომლებიც მრავალ უნიკუმს შეიცავენ. ხოლო სპეციალური ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია 20.000-ზე მეტი სახელწოდების წიგნი გეოლოგიური სპეციალობის სხვადასხვა დარგიდან, უმდიდრესია კავკასიაში.

არსებობის 15 წლის განმავლობაში ინსტიტუტმა დიდი საკვლევო მუშაობა ჩაატარა და მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო.

სტრატიგრაფიულ პალეონტოლოგიაში გამოქვეყნებულია მრავალი მნიშვნელოვანი შრომა მეზოზოურისა და კაინოზოურის ნამარხი ფაუნების შესახებ. შეიძლება აღინიშნოს, რომ მეზოზოურის თავთფეხიანების შესწავლაში ინსტიტუტს კავშირში მოწინავე ადგილი უჭირავს.

რეგიონული გეოლოგიის საფუძველს, როგორც ცნობილია, სტრატიგრაფია წარმოადგენს. ამ მხრივ ინსტიტუტს მეტად დიდი მიღწევები აქვს იურულის, ცარცულის და მესამეულის ნალექების სტრატიგრაფიული სქემების შემუშავებაში. დადგენილია ამ სისტემებში ტრანსგრესიები და რეგრესიები, გარკვეულია ოროგენეტური და ვულკანური ფაზისები. მეტად საინტერესო შედეგები არის მიღებული ფაციესების კვლევის საქმეში, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა პალეოგეოგრაფიული საკითხების გადაჭრას და საქართველოში მრავალი სართულის პალეოგეოგრაფიის გამორკვევას. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ძლიერ მნიშვნელოვანი არის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული მუშაობა მრავალი ტექტონიკურად რთულად აგებული რაიონის სტრუქტურის განშიფვრის საქმეში. წინააღმდეგ არსებული წარმოდგენისა, შემუშავებულ იქნა სრულიად ახალი ტექტონიკური სქემები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შემოწმებამ ეს სქემები ყველა შემთხვევაში გაამართლა.



გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ჰიდროლოგიური კაბინეტი

მრავალი ახალი პრობლემა არის გადაჭრილი გეომორფოლოგიურ დარგშიც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეგზოტექტონიკურ მოვლენებს. ამ დარგშიაც ინსტიტუტს კავშირში მოწინავე ადგილი უჭირავს.

ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებით ჩატარებულ საველე მუშაობის გვერდით ინსტიტუტს, სხვადასხვა ორგანიზაციის დავალებით, დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული რეგიონური აგეგმვის დარგში. მისი თანამშრომლების მიერ აგეგმილი ფართობი 30.000 კვ. კილომეტრს აღემატება.

ზოგი პრობლემა, დამუშავებული ინსტიტუტში, მეტად მნიშვნელოვანია თეორიული გეოლოგიისათვის და მათ სპეციალისტთა ყურადღება მოიპყრეს ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეთაც. ასეთია, მაგ., პროფ. ა. ჯანელიძის მიერ გამოყოფილი დანაოჭების ახალი სახე — „კიდური დანაოჭება", რომელსაც იმავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგი საბადოს (ტყიბული, ჩხარი-აჯამეთის შავი ქვის საბადო და სხვ.) კვლევაში. ნაოჭთა ვირგაციების დადგენა და გადაჭრა — თეორიული გეოლოგიისათვის ძლიერ მნიშვნელოვანი პრობლემისა, ოროგენეტური ფაზისების დადგენის ახალი მეთოდის შემუშავება და მათი ხანგრძლიობის გარკვევა, — ინსტიტუტის თანამშრომლების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამჟამად საქართველოში წარმოებს სოციალისტური მეურნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი შეჯამებითი მუშაობა — საქართველოს ორასათასიანი გეოლოგიური რუკის შედგენა, რომელსაც საქართველოს გეოლოგიური სამმართველო უძღვება. ამ სამუშაოს ძირითადი შემსრულებლები ისევ გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები არიან.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სამუშაოთა მეტი წილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული და უშუალოდ ემსახურებოდა ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას. გარდა ამისა, ინსტიტუტს დიდი დამსახურება აქვს საკუთრივ პრაქტიკულ გეოლოგიაშიც: სასარგებლო ნამარხების ბევრი საბადო ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ არის გამოკვლეული, ხოლო მრავალ შემთხვევაშიც ამგვარი კვლევა მათი კონსულტაციით ხდებოდა. საინჟინერო გეოლოგიის დარგში საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში აშენებული და მშენებლობაში მყოფი ყველა ჰესების გეოლოგიური პირობების კვლევის ძირითადი კონსულტაცია ისევ ინსტიტუტის თანამშრომლებს ეკუთვნის. ამგვარივე სამუშაოები ჩატარებულ იქნა სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ინსტიტუტის ავტორიტეტი სწრაფად გაიზარდა. იგი გადაიქცა საქართველოს მოწინავე გეოლოგიურ დაწესებულებად და მას ფართოდ იცნობენ საბჭოთა კავშირში. თბილისში შეიქმნა ქართული გეოლოგიური სკოლა, რომლის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი პროფ. ა. ჯანელიძე არის და რომელსაც საბჭოთა ქვეყნის სხვა გეოლოგიურ სკოლებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს.

საქართველოში გეოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების შედეგს წარმოადგენს ინსტიტუტთან საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების დაარსება (1934 წ.), რომლის მიზანია საქართველოში გეოლოგიური აზროვნების განვითარებისათვის ხელის შეწყობა, გეოლოგიურ ცოდნათა პოპულარიზაცია და ამ მიზნით გეოლოგებისა და გეოლოგიის მოყვარულების შეკავშირება. საზოგადოების წევრთა რიცხვი ამჟამად 300-მდე აღწევს.

ი. კახაძე

# ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

ინსტიტუტის და მის მეცნიერული ძალების ძირითადი პრობლემას შეიცავს ცხოველთა ცენტრალური ნერვული სისტემის მაკოორდინირებელ და მარეგულირებელ მოქმედებათა შესწავლა. ამიტომ ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს უმაღლეს ხერხემლიანთა ცენტრალური ნერვული სისტემის ეს ორივე ძირითადი ფორმა: რეფლექსური და ფსიქონერვული.

რეფლექსურ მოქმედებიდან უკანასკნელ ხანებში ჩვენ შევისწავლეთ თავისა და ზურგის ტვინში შეკავებისა და გაადვილების მოვლენები. ამ საკითხებზე ჩვენ უკვე ხუთი წელია ვმუშაობთ და ნათელვყავით როლი და მნიშვნელობა ზოგადი შეკავებისა თავის ტვინის ღეროდან და ზურგის ტვინიდან გამოწვეულ სომატიურ რეფლექსთა კოორდინაციულ მოქმედებაში.

ამჟამად ჩვენი მუშაობა ამ საკითხზე ეხება ზოგადი შეკავების როლს, ერთის მხრივ, ქერქული მოქმედებაში და, მეორეს მხრივ, იმ რეფლექსურ მოქმედებაში, რომელსაც ადგილი აქვს შინაგან ორგანოთა გაღიზიანების ნიადაგზე. ჩვენ ამჟამად ც. ნ. ს. მოქმედების გამოკვლევას ვაწარმოებთ აგრეთვე ახალი — ოსცილოგრაფიული მეთოდითაც. ამ მიზნით გავმართეთ კათოდურ სხივთა ოსცილოგრაფი. იგი მთლიანად გაკეთებულია კავშირში დამზადებულ ნაწილებისაგან ჩვენი ინჟინერ შ. ყვავილაშვილის მიერ. ეს მეთოდი ჩვენ საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ელექტრულ პოტენციალის ის უმცირესი რხევები, რომელნიც წარმოიშობიან ცოცხალ ქსოვილში მასში ყოველგვარი ფიზიკო-ქიმიურ ცვლილებათა გამო.

ჩვენს შესწავლის საგანს წარმოადგენს აგრეთვე ცენტრალურ ნერვული სისტემის ის საყურადღებო მოვლენა, რომელიც გამოიხატება აქტიურ ნივთიერებებისადმი მისი შეგუებითი უნარიანობაში. ც. ნ. ს. ამ თვისებამ ჩვენი ყურადღება მიიქცია ზურგის ტვინზე ქიმიურად აქტიურ ნივთიერებათა მოქმედებისას. ჩვენ დიდ შრომას ვეწევით ამ მოვლენის შინაგანი მექანიზმის გამოვლინებისათვის.

ფსიქონერვულ მოქმედების დარგშიაც ჩვენი კვლევა წარმოადგენს იმის გაგრძელებას, რასაც ჩვენ ვაწარმოებდით უკანასკნელ წლებში. ჩვენ შევისწავლიდით ნორმალურ ხერხემლიან ცხოველთა ინდივიდურ ქცევას ფილოგენეზური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ჩვენ შევქმენით ახალი მეცნიერება — ქცევათმეცნიერება, რომელიც შეიცავს არა მარტო ე. წ. ზოოფსიქოლოგიისადმი ქვემდებარე საკითხებს, როგორიცაა ცხოველთა ინსტიქტი, მეხსიერება, ჩვევები და სხვ., არამედ ქცევის დაბალ ფორმებსაც, როგორც, მაგალითად, ტროპიზმი, უხერხემლო ცხოველთა ქცევის უმარტივესი ფორმები და აგრეთვე ქცევის უმაღლესი ფორმა — ადამიანის ცნობიერი შრომითი ქცევა.

ჩვენ გამოვიმუშავეთ უმაღლეს ხერხემლიანთა ქცევის მთავარი ფორმების კვლევის სპეციალური მეთოდები და დავადგინეთ ფსიქონერვულ მოქმედებათა მთელი რიგი კანონზომიერებანი.

ამჟამად ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ თავის ტვინის ცალკეულ ნაწილთა როლი ინდივიდური ქცევის რეგულაციაში. ამ მიზნისათვის ჩვენ ვაცლით ცხოველს დიდი ტვინის ამათუიმ ნაწილს და შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაწარმოებთ ცხოველის რეფლექსურ და ფსიქონერვულ მოქმედებაში ამ ამოკვეთის ნიადაგზე მომხდარ ცვლილებათა შესწავლას.

ცენტრალური ნერვული მოქმედება უმთავრესად პირობადებულია რეცეპტორთა მოქმედებით. ამიტომ, ამ უკანასკნელ წლებში, ჩვენ ვსწავლობთ აგრეთვე რეცეპტორთა როლს რეფლექსურ მოქმედებაში, სახელდობრ, მის მნიშვნელობას ზოგად შეკავებასა და გაადვილების მიმართ და აგრეთვე რეცეპტორთა კავშირებს დიდი ტვინის ქერქთან. ეს მუშაობა შეეხება უმთავრეს რეცეპტორებს: თვალს, ყურს და კანის სხვადასხვა რეცეპტორებს.

გარდა ამისა, ჩვენ ვიკვლევთ კანის რეცეპტორთა ონტოგენეზურ და ფილოგენეზურ განვითარებას. ამათუიმ რეცეპტორთა იმპულსაციის ხასიათის დადგენისათვის გამოყენებულია აგრეთვე კვლევის ოსცილოგრაფიული მეთოდი.

ვინაიდან ცენტრალურ ნერვულ სისტემის მოქმედება პერიფერიაზე ნერვებისა და კუნთების მეოხებით გამოივლინება, ამიტომ ნერვისა და კუნთის ბოჭკოთა ფუნქციონალურ თავისებურებათა გამოკვლევა ჩვენი კვლევის აგრეთვე მთავარ ყურადღების საგანს წარმოადგენდა. უკანასკნელ წლებში ჩვენ ვსწავლობდით ნერვსა და კუნთში სხვადასხვა პირობებში მიმდინარე პროცესთა სისწრაფეს ქრონაქსიმეტრიული მეთოდით, აგრეთვე ვსწავლობდით აქტიურ ქიმიურ ნივთიერებათა, მაგ., აცეტილქოლინის, მოქმედებას ჩონჩხის კუნთზე და ხერხემლიან ცხოველთა ჩონჩხისა და გლუვი კუნთების პლასტიურ თვისებებს. ამჟამად საკმარისად გავაფართოვეთ ეს მუშაობა.

ფიზიოლოგიურ პროცესებს მუდამ თან სდევს გარკვეული ფიზიკო-ქიმიური ცვლილებები ცოცხალ ქსოვილში. ამ პროცესთა შესწავლა ხშირად საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ფიზიოლოგიურ პროცესთა წარმოშობას, მის დინამიკასა და განვითარებას. ამ საჭიროებისათვის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს აქვს ბიოქიმიური ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში, უკანასკნელ წლების განმავლობაში, ჩატარებულ იქნა დიდი მუშაობა კუნთის ნერვულ და უნერვო ნაწილებში ენერგეტიული მასალის დაშლისა და სინთეზის შესწავლისათვის. ეს ბიოქიმიური მუშაობა ჩატარდა ფიზიოლოგებთან ერთად, რომელნიც თავის მხრივ სწავლობდნენ ნერვულ და უნერვო ნაწილთა ფიზიოლოგიურ თავისებურებებს.

იმის გამო, რომ ფიზიოლოგიური საკითხები ქსოვილისა ან ორგანოთა ფუნქციის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ წარმონათა სტრუქტურასთან, ამიტომ აუცილებელი ხდება მათი ფუნქციისა და სტრუქტურის პარალელური კვლევა. ამ მოთხოვნილებასთან შეფარდებით ინსტიტუტის ჰისტოლოგიური ლაბორატორია უკანასკნელი წლების განმავლობაში იკვლევდა ჩონჩხის კუნთში ნერვულ დაბოლოებათა განაწილებას და კუნთის ბოჭკოთა ზრდა-განაწილებას. ამჟამად ამავე ლაბორატორიის კვლევის საგანს შეადგენს ზურგის ტვინის ნატიფი ნერვული კავშირები და მათი ონტოგენეზური განვითარება.

ხუთი წლის წინათ ჩვენ გამოვაქვეყნეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მიერ 15 წლის განმავლობაში წარმოებულ კვლევითი მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში. ამჟამად ამ მუშაობის 20 წელი შესრულდა. ამ წერილში მოცემულია ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში წარმოებულ კვლევითი მუშაობის მეტად მოკლე მიმოხილვა.

აკად. ი. ბერიტაშვილი



სტალინური სტიპენდიატი სტუდენტები ზემოდან (მარცხნიდან მარჯვნივ): კ. ფალავა, ს. თურქაძე, გამეზარდაშვილი, ს. აბულაძე, გ. მახარაძე, ი. ტაბაღუა, ა. მიქაუტაძე.

# კომკავშირის ორგანიზაცია ოცი წლისთავზე

უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 4.589 კომკავშირელს, წარმატებებით ეგებება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს.

უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის მთელი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ დაეხმაროს პარტიას და ხელისუფლებას ახალგაზრდა სპეციალისტების, ახალი კადრების აღზრდის საქმეში. მოწინავე ახალგაზრდობას შორის კომკავშირელები პირველ რიგში დგანან. ისინი სისტემატურად, კეთილსინდისიერად სწავლობენ, იძენენ საფუძვლიან ცოდნას და ამავე დროს აქტიური საზოგადოებრივი მუშაკებიც არიან. კომკავშირელთა მთელი ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ უჩვენონ ავანგარდული როლი სწავლაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის საგნის სწავლებამ ხელი შეუწყო უნივერსიტეტის კომკავშირელთა პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას. საესიო შეფასებათა მიხედვით კომკავშირის წევრთა უმრავლესობას „ფრიადი" ნიშანი აქვს. კომკავშირელები გულმოდგინედ მუშაობენ მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომების შესწავლაზე.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით სისტემატურად ეწყობა ლექცია-მოხსენებები. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან დღემდე ჩატარებულია 13 ლექცია-მოხსენება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრში, რომელიც კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო, ჩაბმულ იქნა 179 ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი. შეჯიბრების შედეგად დაიწერა 36 სამეცნიერო შრომა, 7 სახელმძღვანელო წიგნი. 17 ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა მიიღო სამეცნიერო ხარისხი.

კომკავშირის ორგანიზაციების მთელი მუშაობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება-განმტკიცებისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული.

სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ აიღო ინიციატივა და მოწოდებით მიმართა საბჭოთა კავშირის მთიანი რაიონების ახალგაზრდობას მუდმივად მოქმედი კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მებრძოლ ალპინისტთა რაზმების შექმნის შესახებ. უნივერსიტეტში შეიქმნა მებრძოლ ალპინისტთა ათეული.

ყველა კომკავშირელი აქტიურ მონაწილეობას იღებს სამხედრო ფიზკულტურულ მუშაობაში. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წითელი არმიის 23 წლისთავის სახელობის კომკავშირულ კროსში თითქმის ყველა კომკავშირელმა მიიღო მონაწილეობა.

კომკავშირის ორგანიზაცია, ზრდის რა ახალგაზრდა თაობას ბოლშევიკური პარტიის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებზე, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით და დახმარებით კიდევ უფრო ძლიერ გამოაწრთობს თავის კადრებს ჩვენი ქვეყნის მტრებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება საკ. კ. პ. (ბ) და დიდი ბელადის, საბჭოთა ახალგაზრდობის მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ა. ფარულავა

# შემდგომი მუშაობის გაძლიერებისათვის

უნივერსიტეტის მრავალათასიან კოლექტივის ცხოვრებასა და საქმიანობაში სტუდენტთა პროფორგანიზაციას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს იგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით ხვდება.

პროფორგანიზაციის საქმიანობას გაერთიანებული პროფკომი ახორციელებს ფაკულტეტებზე არსებული პროფბიუროების საშუალებით. ასეთი პროფბიურო უნივერსიტეტში არის 8 და ერთი რწმუნებული ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

სოციალიზმის სწრაფი აყვავების პერიოდში გიგანტურად გაიზარდა პროფკავშირების როლი მასების მომსახურეობის და მათი კომუნისტურად აღზრდის საქმეში. საქმიანობა, რომელსაც პროფკომი სტუდენტებს შორის აწარმოებს, 3 დარგად ნაწილდება: ა) აკადემიური, ბ) კულტმასობრივი და გ) საყოფაცხოვრებო. ცალცალკე სამივე დარგს ხელმძღვანელობენ პროფკომის მიერ გამოყოფილი კომისიები, რომელთა გადაწყვეტილებანი მტკიცდება პროფკომის სხდომებზე.

მოვიყვანთ ზოგიერთ ფაქტს აღნიშნული კომისიების მუშაობიდან.

უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაში პროფკომი მონაწილეობას იღებს კათედრებზე სტუდენტთა წარმომადგენლების მიმაგრებით, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტთა სამეცნიერო წრეების გამგეობაში მონაწილეობით და სხვ.

სტუდენტობაში ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრი, რამაც ხელი შეუწყო მათი აკადემიური დონის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისა და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საქმეს. ყველა ჯგუფი და ფაკულტეტი ჩაბმულია ურთიერთშორის სოცშეჯიბრში. 1939-40 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში სოცშეჯიბრში გაიმარჯვა და გარდამავალი დროშა მიიღო ფილოლოგიის ფაკულტეტმა. სოცშეჯიბრის ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის დაჯილდოებულია 85 ფრიადოსანი სტუდენტი.

კულტმასობრივ მუშაობის ფართოდ გაშლას ხელს უწყობს კლუბი, რომელსაც ყავს თავისი გამგეობა.

კლუბთან არსებობს შემდეგი წრეები: ა) სტუდენტთა თვითმოქმედი რუსულ-ქართული თეატრი, რომელშიაც გაერთიანებულია 122 სტუდენტი. თეატრმა მოამზადა და მაყურებელს უჩვენა 22 წარმოდგენა; ბ) მომღერალთა გუნდი, რომელშიაც გაერთიანებულია 50 სტუდენტი. გუნდმა შეისწავლა 20-ზე მეტი სხვადასხვა სიმღერა და მოაწყო კონცერტი 15-ჯერ; გ) მოცეკვავეთა წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 136 სტუდენტი. წრემ მოამზადა და გამართა ოცზე მეტი კონცერტი უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის გარეთ; დ) სასულე ორკესტრის შემსწავლელი წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 22 სტუდენტი. წრემ მოამზადა 15 სხვადასხვა მუსიკალური პიესები და 6-ჯერ გამართა კონცერტი.

გარდა ამისა, ფაკულტეტებზე არსებობს მომღერალთა, მეჩონგურეთა, მოცეკვავეთა წრეები. მათში გაერთიანებულია 320 სტუდენტი. მათ მიერ 1939-40 სასწავლო წელს ჩატარდა 12-ზე მეტი თვითმოქმედების საღამო და ერთი საუნივერსიტეტო ოლიმპიადა, სადაც გამოვლინებულ იქნა ნიჭიერი სტუდენტობა.

პროფკომი ფაკულტეტის ბიუროების საშუალებით აწყობდა კოლექტიურ სვლებს კინო-თეატრებში; ასეთი მოეწყო 98-ჯერ 6.220 სტუდენტის მონაწილეობით. შორეული ექსკურსია მოეწყო 6-ჯერ 203 სტუდენტის მონაწილეობით. გორში სტალინის სახლი დაათვალიერა 1.300 სტუდენტმა, ისტორიული მუზეუმები ინახულა 3.100 სტუდენტმა, ფაბრიკა-ქარხნებში მოეწყო ექსკურსია 65-ჯერ 1.322 სტუდენტის მონაწილეობით. კულტმომსახურებაზე სულ დაიხარჯა 1939-40 სასწავლო წელს 104.221 მანეთი.

ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული სპორტ-საზოგადოება „მეცნიერებას", რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს და ეხმარება პროფკომი. აღნიშნულ ორგანიზაციაში ირიცხება 1.360 წევრი; წევრები გაერთიანებულია ფიზკულტურულ სექციებში. ასეთი სექციებია: ფრენბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ფეხბურთის, ჭადრაკის და სხვ. მოეწყო მთა კაბარჯინებზე ასვლა 50 სტუდენტის მონაწილეობით, ჩატარდა სამხედრო ფიზკულტურული ლაშქრობა 3.200 სტუდენტის მონაწილეობით. „მშთ" ნორმები ჩააბარა 650 სტუდენტმა.

გაუმჯობესდა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობაც. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია აერთიანებს 4.115 წევრს. მომზადდა პირველსაფეხურის ნიშნოსნები 706, მე-2 საფეხურის — 80, მფრინავი — 10, პლანერისტი — 7 და სხვ. რემედასის ორგანიზაცია აერთიანებს 2.485 წევრს. ჩატარდა მოხსენება საერთაშორისო საკითხზე 2-ჯერ და სხვადასხვა საკითხებიდან 3-ჯერ. წითელი ჯვრის ორგანიზაცია აერთიანებს 2.600 წევრს. მომზადდა 61 მედდათა ინსპექტორი. მებრძოლ უღმერთოთა ორგანიზაცია აერთიანებს 1.798 წევრს, რომელიც თავის მუშაობით პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოში.

საყოფაცხოვრებო დარგში 1939-40 სასწავლო წელს დაიხარჯა 248.132 მან. სოცდაზღვევაში ჩაბმულია 1.545 სტუდენტი, საერთო საცხოვრებელში მოთავსებულია 1.500 სტუდენტი.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ ჩვენს აყვავებულ სამშობლოს ათასობით გამოვუშვებდოთ მოწინავე მეცნიერებით შეიარაღებული ბოლშევიკური კადრები.

ხ. მახარაძე

# უნივერსიტეტის პროფორგანიზაცია

უნივერსიტეტის ადგილობრივი კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ხელმძღვანელობით, პროფკავშირული მუშაობის ყველა დარგში საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავს კარგი მიღწევებით ეგებება.

უნივერსიტეტში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მასში ჩაბმულია პროფესორ-მასწავლებლების, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის ძირითადი მასა. სასწავლო-პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მუშაობის საუკეთესოთ დაყენებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან კათედრები, კაბინეტები, განყოფილებები, ფაკულტეტები.

ჩვენი უნივერსიტეტი სოციალისტურ შეჯიბრშია ჩაბმული შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სისტემატურად მოწმდება აღებულ ვალდებულებათა შესრულება, რის შედეგადაც გამოვლინებულია მოწინავე ფაკულტეტები, კათედრები, გამოვლინებულია ასეული მოწინავე მუშაკი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII პარტიული კონფერენციის მოწვევის პატივსაცემად აიღო მთელი რიგი დამატებითი ვალდებულებანი და სახელოვნად იბრძვის მისი შესრულებისათვის.

უნივერსიტეტი დიდ მუშაობას ეწევა წითელ არმიის ნაწილებში, საშუალო სკოლებში და კოლმეურნეობებში ლექცია-მოხსენებების ჩატარებით მეცნიერების ყველა დარგიდან; შესაფერისად ეხმარება საშეფო საშუალო სკოლებს, სახელოსნო სასწავლებელს, საბავშვო ბაღსა და საბავშვო სახლს.

ადგილკომმა საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრა 1940 წელი თავდაცვითი მუშაობის დარგში. I საფ. ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" მომზადდა 61 კაცი, II საფეხურზე — 9 კაცი, რითაც 1940 წლის სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

ადგილობრივი კომიტეტი სისტემატურად ამოწმებს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებას. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულმა ბრძანებულებამ სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიწვია შრომის დისციპლინის განმტკიცება. ადგილკომთან ჩამოყალიბებულია მასობრივი საწარმოო და შრომის დაცვის კომისიები, რომლების მთავარ საზრუნავ საქმეს შრომის დისციპლინის საკითხები წარმოადგენენ.

პროფორგანიზაციის გადარჩევებთან დაკავშირებით მოხდა პროფორგანოების შემადგენლობის განახლება. პროფკავშირულ სამუშაოზე არჩეულ იქნენ ახალი ადამიანები, პროფკავშირული მუშაობის ენთუზიასტები, რამაც შესაფერი გარდატეხა და გაუმჯობესება მოახდინა უნივერსიტეტის პროფორგანიზაციის მუშაობაში.

ალ. კანდელაკი



უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი

# ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა

ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის მეცნიერულ და სასწავლო დამხმარე დაწესებულებას, რომელშიაც მოიპოვება მეტად მდიდარი კოლექციები, უძვირფასესი შრომები და ფასდაუდებელი უნიკუმები 650.000 ტომის რაოდენობით. ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს უნივერსიტეტის როგორც ძირითად კონტინგენტს — პროფესორ-მასწავლებლობას, სტუდენტობას და ტექნიკურ პერსონალს, ისე ექსტერნატს და დაუსწრებლებს.

ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა შექმნილია, როგორც ნაყიდი წიგნებიდან, ისე უნივერსიტეტზე გადმოცემულ სხვადასხვა დაწესებულებების პატარპატარა ბიბლიოთეკებიდან და კერძო პირების მიერ შემოწირულ პირადი ბიბლიოთეკებიდან.

ბიბლიოთეკა დაარსებულია უნივერსიტეტთან ერთად 1918 წელს; მენშევიკების პერიოდში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბიბლიოთეკას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა; მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკას აღმოუჩნდნენ ამ საქმით დაინტერესებული პატრიოტები, მეცნიერ მუშაკები, როგორც, მაგალითად, აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. კ. კეკელიძე, აკად. ა. შანიძე, აკად. გ. ახვლედიანი, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, გ. ბაქრაძე და სხვ., რომელთა მეშვეობით ბიბლიოთეკამ შეინარჩუნა არსებობა და თანთათანობით ზრდა-გაფართოება იწყო.

ბიბლიოთეკის ზრდა წლების მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებს: 1921 წელს ბიბლიოთეკაში შემოსული წიგნები იყო სულ 136.046 ცალი, 1927 წ. — 237.242 ცალი, 1934 წ. 356.000 ცალი, 1940 წ. — 628.488 ცალი.

1921 წლამდე ბიბლიოთეკაში არავითარი სტატისტიკა და აღრიცხვიანობა არ წარმოებდა. საჭირო იყო არსებული ფონდის წესრიგში მოყვანა, კატალოგების შედგენა, კოლექციების გამოყოფა, აგრეთვე გამოყოფა პერიოდიკისა და ლექსიკის განყოფილებისა, სტუდენტთა ბიბლიოთეკისა, ბიბლიოთეკიდან უვარგისი წიგნის ამორჩევისა და სხვ. ეს მოითხოვდა დიდ სერიოზულ მუშაობას, სათანადო კვალიფიციურ კადრებს, ბიბლიოთეკისათვის საჭირო ბინას და სხვ.

ბიბლიოთეკის წესრიგში მოყვანა იწყება 1921 წლიდან. ბიბლიოთეკას ბინა მიეცა უნივერსიტეტის დაბლა სართულის მარჯვენა მხარეზე რამდენიმე ოთახი. დაიწყო ანბანური კატალოგის შედგენა, შემდეგ სისტემატური კატალოგის შედგენა, დაიწყო წიგნთსაცავის დალაგება ცალკეულ კოლექციების მიხედვით, გაიროა წიგნადი ფონდი და გამოიყო უვარგისი ლიტერატურა.

1925 წლიდან, პროფ. ივანე ჯავახიშვილის რჩევით, ბიბლიოთეკაში გამოიყო პერიოდიკის განყოფილება, ლექსიკონების განყოფილება, აგრეთვე საგაზეთო განყოფილება, ქართული და აღმოსავლური ენების განყოფილება და სხვ.

ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა სტუდენტებს წინათ არ შეეძლოთ, რაც, რა თქმა უნდა, მათ მეცადინეობას და ცოდნის გაფართოებას ძალზე უშლიდა ხელს. ბიბლიოთეკიდან წიგნი ეძლეოდათ უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტს კი წიგნი მიეცემოდა იმ შემთხვევაში, თუ მას თავდებად დაუდგებოდა უნივერსიტეტის რომელიმე მეცნიერი მუშაკი, რაც ყოველთვის არც ისე ადვილი იყო.

ბიბლიოთეკის აბონენტთა და გაცემული წიგნების რიცხვის ზრდა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 1921 წელს აბონენტთა რიცხვი უდრიდა 321, გაცემულ წიგნების რაოდენობა კი 3.190, 1927 წ. იყო 1.463 აბ., გაც. წიგნების რაოდენობა უდრიდა 14.478, 1940 წ. იყო 5.894 აბ., გაც. წიგნების რაოდენობა უდრიდა 273.677.

ბიბლიოთეკის ბიუჯეტი 1936 წლამდე შედიოდა უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში, ხოლო 1936 წლიდან ის გამოეყო უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტს. 1937 წელს ბიბლიოთეკის ბიუჯეტი უდრიდა 284.396 მანეთს, ხოლო 1940 წელს კი უდრის 386.340 მანეთს.

ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულია და ნორმალურად მუშაობს შემდეგი განყოფილებანი: დაკომპლექტების, დამუშავების, ძირითადი აბონემენტი, სტუდ. აბონემენტი, წიგნთსაცავი, მეც. მუშაკთა სამკითხველო დარბაზი, სტუდ. სამკითხველო დარბაზი, პერიოდიკის განყოფილება, სტუდ. ფილიალი, გაცვლის ფონდი, ბიბლიოგრაფიის განყოფილება. ყველა ამ განყოფილებას აქვს სამუშაო გეგმები როგორც წლიური, ისე კვარტალური და თვიური, ხდება მათი ანგარიშგება ყოველ კვარტალის ბოლოს ბიბლიოთეკის საწარმოო თათბირებზე.

დიდი შედეგები მისცა ბიბლიოთეკას ჩვენს უნივერსიტეტსა და კიევის უნივერსიტეტს შორის მიმდინარე სოცშეჯიბრმა. გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკამ გადაჭარბებით შეასრულა აღებულ ვალდებულებათა ყველა მუხლი, ბიბლიოთეკამ გეგმის გარეშე დაამუშავა 14 ათასი ტომი დაუმუშავებელი ძველი ფონდიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ უპასუხებს უნივერსიტეტის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას მკითხველთა მომსახურების ხაზით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ ვერ არის დაკომპლექტებული ისე, როგორც საჭირო არის. როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკა შემდგარია სხვადასხვა წყაროებით — ყოველგვარ აკადემიურ გეგმის გარეშე და, რა თქმა უნდა, ეს ხარვეზი ჯერჯერობით ვერ იქნა შევსებული ბიბლიოთეკის მიერ.

ბიბლიოთეკას განვლილ უახლოეს წლების განმავლობაში უდაოდ დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ ეს მიღწევები წვეთია ზღვაში უნივერსიტეტის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებასთან.

ვ. ახალაძე



უნივერსიტეტის სტამბა - ლითოგრაფიის სტახანოველი მუშები, ზემოდან (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. ფერაძე, ვ. მეტრეველი, ვ. კვინტრაძე, მ. გარსოშვილი, დ. ჩირაძე, ა. ყაზაროვი, პ. გაჩეჩილაძე, გ. მამუკაშვილი

# უნივერსიტეტის გამომცემლობა

უნივერსიტეტის სისტემაში გამომცემლობას თავისი მუშაობის ხვედრითი წონით საპატიო ადგილი უჭირავს. იგი მოწოდებულია ძირითადად დააკმაყოფილოს სტუდენტთა მოთხოვნილება სახელმძღვანელოებისა და პროგრამების გამოცემით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უკანასკნელ წლების განმავლობაში საგრძნობი ნაბიჯი გადაიდგა, ზოგიერთ დისციპლინებში მაინც სახელმძღვანელოები არ მოიპოვება. ეს გარემოება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე მკვეთრად აყენებს საკითხს სტუდენტობის სახელმძღვანელოებით დროულად უზრუნველყოფის შესახებ. ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა საკუთარი პოლიგრაფიული ბაზის გაფართოება და სტამბის რეკონსტრუქცია უნივერსიტეტის მზარდი მოთხოვნილებათა შეფარდებით.

უკანასკნელ ოთხი წლის მანძილზე გამოცემულია დაახლოებით 32 სახელმძღვანელო — თარგმნილი და ორიგინალური, 26 სამეცნიერო შრომა უნივერსიტეტის „შრომების" ჩაუთვლელად და 550-მდე პროგრამა სხვადასხვა დისციპლინებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი სერიოზული გამოცემანი, როგორიცაა, მაგალითად, „შაჰნამე", „ვეფხისტყაოსანი", რუსულ-ქართული ლექსიკონი, აკად. ნ. მუსხელიშვილის „ანალიზური გეომეტრია", აკად. დ. უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია", აკად. კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. I, პროფ. მ. გოგიბერიძის „ფილოსოფიის ისტორია", პროფ. ალ. ბარამიძის „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", ტ. II, ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია" და სხვ.

მიმდინარე წელს გამოიცემა მ. ლერმონტოვის რჩეული ნაწერები ქართულად, აკად. ტარლეს რედაქციით გამოცემული „ახალი ისტორიის" ორივე ტომი, აკად. კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომი, პროფ. ვ. თოფურიას ორთოგრაფიული ლექსიკონი და სხვ.

ზ. ნ—ძე

პ/მგ. რედაქტორი ვ. მიქაძე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, მარის ქ. № 1. უე 5568 შეკვეთა № 76. ტირაჟი 500.